გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

29 მარტი 2024

N 2-396

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „სტოკზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-913 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2024 წლის 26 მარტს სამინისტროს მომართა შპს „სტოკმა“ და შპს „აგროჰაბმა“ და ითხოვეს შპს „სტოკზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R404A-ს 272,5 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „აგროჰაბზე“ გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „სტოკის“ 2024 წლის 26 მარტის N8445 განცხადებისა და შპს „აგროჰაბის“ 2024 წლის 26 მარტის N8443 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „სტოკზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-913 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „სტოკზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206348371) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000035) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 49 000 კგ;
- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 24 727,5 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 13 000კგ;
- R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 1 000კგ;
- R417A (HFC-125/ HFC-143a/R600) - 500კგ;
- R452A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF) - 400კგ.
- დიფთორმეთანი (HFC-32) – 800კგ;
- R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 1 000კგ;
- R449A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF/HFC-134a) - 400კგ.“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სტოკს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სტოკის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე